საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/76

ქ. ბათუმი 06 აგვისტო, 2021 წ.

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების 42-ე მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 27 ივლისის N06-01/65 დადგენილების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (№1, 06.08.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 27 ივლისის №06-01/65 დადგენილებით გამოცხადებული და 2021 წლის 06 აგვისტოს ჩატარებული ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შესარჩევი ფარული კენჭისყრის შედეგად ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურად შერჩეული იქნეს ბსუ–ს პროფესორი **ვლადიმერ ღლონტი** (11-წევრიანი შემადგენლობის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 06 აგვისტოს სხდომაზე/არჩევნებში მონაწილე აკადემიური საბჭოს 10 წევრის ხმით).
2. წარმომადგენლობით საბჭოს განიხილოს აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების საკითხი.
3. წარმომადგენლობით საბჭოს მიერ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ბსუ–ს პროფესორ **ვლადიმერ ღლონტის დამტკიცების შეთმხვევაში, უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 2021 წლის 23 აგვისტოდან.**
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**